ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო-

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სხდომის ოქმი N3

თარიღი: 28 პრილი, 2023 წელი

დრო: 17:00 საათი

ადგილი: მერიის სხდომათა დარბაზი;

კოსტავას ქ. N20

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი - ნინო ლაცაბიძე

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები:

ნოდარ ღვამბერია, ნარგიზ ტაბატაძე, ავთანდილ კარანაძე, სერგო ტოპრაკაშვილი, ელზა ლეკვეიშვილი, ბელა ჯანგიძე-გოცირიძე, დავით ძაგნიძე, კოტე შერმადინი, ვალერი ჯიქია, ოთარ მენაბდე, დავით ანთაშვილი, გიორგი ქოჩიაშვილი, მაია ჭიკაძე, მერაბ ტყეშელაშვილი, ლაურა მირაშვილი, ლეილა ციცქიშვილი, მერაბ ასანიშვილი, ვასილ ძირკველიშვილი, გოჩა შავაძე, ჯონი შანიძე, ვანო ლეაჟავა

<u>ასევე ესწრებოდნენ:</u>

რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები- კახა გურული, ბესიკ ტოგონიძე

მერიის არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი- კობა ძლიერიშვილი

მერიის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი- თეა ჟვანია

<u>სხდომის დღის წესრიგი:</u>

1. სხდომის გახსნა: თავმჯდომარის მიმართვა
2. მუნიციპალიტეტის მერის მისალმება
3. განათლების სამუშაო ჯგუფის მიერ საკითხის განხილვა, რეკომედაციების წარდგენა: მწერლების მიერ წიგნების ბეჭდვასთან დაკავშირებული ინიციატივები
4. არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელის კობა ძლიერიშვილის პრეზენტაცია : რუსთავის ჭალის ტყის განვითარება
5. დისკუსია

- სხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ - ნოდარ ღვამბერიამ, რომელმაც ტექნიკური საკითხები განიხილა და სხდომას გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული თემები

- საბჭოს მიმართა ქალაქის მერმა და მოკლედ მიმოიხილა მიმდინარე პროექტები, მათ შორის ახალი მუნიციპალური სერვისების ცენტრისა და თანამედროვე მედიათეკის მშენებლობის საკითხი და მათი მნიშვნელობა.

- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განათლების, მედიცინისა და სოციალური მიმართულებების თემატური სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელმა ელზა ლეკვეიშვილმა სხდომას გააცნო მწერლების წიგნების ბეჭდვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციები: „მოგახსენებთ, რომ მრჩეველთა საბჭოს სახელზე შემოვიდა მწერალთა განცხადებები, სადაც ისინი ითხოვდნენ დახმარებას წიგნების ბეჭდვის დაფინანსებაზე.
კომისიამ შიდა სამუშაო შეხვედრებისა და საკითხის შესწავლის საფუძველზე, ასევე მწერლებთან დამატებითი ინფორმაციების მოძიების შედეგად, მიიღო რეკომენდაცია საკითხის დადებითად გადაწყვეტის თაობაზე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი მოსაზრება და შუამდგომლობა, დავეხმაროთ მწერლებს წიგნების დაბეჭდვასა და ამით საკუთარი შემოქმედების განვითარებაში: თინათინ სიყმაშვილი, ქეთევან სოხაძე, ელენე ბეჟანიშვილი, ემზარ გოგოლაძე, ლალი მჭედლიძე, ნინო ბოკუჩავა. „

- არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელმა კობა ძლიერიშვილმა საბჭოს წარუდგინა პრეზენტაცია ჭალის ტყის განვითარების პროცესის შესახებ, ასევე ისაუბრა ქალაქის ურბანული განახლების პერსპექტივებზე.
რუსთავის მერია გარემოს დაცვის სამინისტროსთან და შვედეთის განვითარების საგენტო (სიდა)-სთან ერთად მუშაობს რუსთავის ჭალის ტყის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის შექმნაზე. სტრატეგია იწერება 320 ჰექტარი ტერიტორიისთვის, ხოლო დეტალური განაშენიანების გეგმა შეიქნება პირველ ეტაპზე შერჩეული 160 ჰექტარისთვის. დოკუმენტის შექმნის პროცესში ჩართულები არიან მოწვეული ექსპერტები, შესაბამისი კომპეტენციის მქონე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და მერიის სამსახურები. ჭალის ტყის განვითარების პროცესის ფარგლებში მერია იყენებს მონაწილეობითი დემოკრატიის ერთ-ერთ მექანიზმს- „მოქალაქეთა ასამბლეას“, რომელიც ევროპის საბჭოს ეგიდით საქართველოს მასშტაბით პირველად, რუსთავში საპილოტედ ხორციელდება. რუსთავის მოქალაქეთა ასამბლეა იმართება შემდეგ საკითხზე: როგორ უნდა მომზადდეს რუსთავის ტერიტორიაზე არსებული ჭალის ტყის განვითარების სტრატეგია ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მოსახლეობის მოსაზრებები და ინტერესები?
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საზღვრებში, მტკვრის ორივე სანაპიროზე, ძველსა და ახალ ხიდს შორის არსებულ სივრცეში მდებარეობს ჭალის ტყე. 90-იან წლებში აღნიშნულ სივრცეს სერიოზული ზარალი მიადგა ენერგეტიკული კრიზისის დროს. ქალაქის მოსახლეობა ხეებს ჭრიდა და იყენებდა გათბობისთვის. ბოლო 20 წლის განმავლობაში ჭალის ტყე ნაწილობრივ აღდგა გარეშე ჩარევის გარეშე, თუმცა ამ ეტაპზე არ არსებობს მისი განვითარების ჩამოყალიბებული სტრატეგია, შესაბამისად, ეს სივრცე ნაკლებადაა ათვისებული და რუსთავის მოსახლეობა მას, ფაქტობრივად, არ იყენებს.
იმისთვის, რომ ჭალის ტყის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყოს რუსთავის მუნიციპალიტეტის მოქალაქეების ინტერესები, პროცესის ინკლუზიურობის უზრუნველყოფისთვის, რუსთავის მერიას იყენებს სათათბირო დემოკრატიის ინსტრუმენტს,,მოქალაქეთა ასამბლეა“. ჩართულობის ამ ფორმის გამოყენების შედეგად, ჭალის ტყესთან დაკავშირებით შესაძლებელი გახდება მოქალაქეთა მოსაზრებებისა და ხედვების გაცნობა და სტრატეგიის მომზადების პროცესში მათი გამოყენება.

მაისის ბოლოს მუნიციპალიტეტს ექნება ჭალის ტყის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის პირველადი ვერსია, სადაც გათვალისწინებული იქნება მოქალაქეთა ასამბლეის მიერ საბოლოოდ მიღებული რეკომენდაციებიც.

- სხდომა მიმდინარეობდა კითხვა- პასუხისა და მოსაზრებების გაცვლის რეჟიმში. საბჭოს წევრებმა გამოთქვეს აზრი კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით და დააყენეს ინიციატივები და წინადადებები:

მერაბ ტყეშელაშვილი: რუსთავის ციხე-სიმაგრის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროცესში აუცილებელია კერძო ბიზნესთან თანამშრომლობა და მათი ჩართვა სხვადასხვა ფორმით.

სერგო ტოპრაკაშვილი: განვიხილოთ რუსთავის ცენტრალურ პარკში წყალზე ტივტივა მზის პანელების დამაგრება, პარკის ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად.

- სხდომის დასასრულს საბჭომ შეაჯამა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და განიხილა შემდგომი გეგმები.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე:

ნოდარ ღვამბერია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი:

ლიანა ჩარკვიანი

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

დასწრების ფურცელი

სხდომა N3 28.04.2023

	სახელი გვარი	ხელმოწერა
1	ნოდარ ღვამბერია	
2	კარლო ლეკვეიშვილი	
3	ნარგიზ ტაბატაძე	
4	ავთანდილ კარანაძე	
5	სერგო ტოპრაკაშვილი	
6	ელზა ლეკვეიშვილი	
7	ფრიდონ კენკებაშვილი	
8	მერაბ გრძელიძე	
9	ბელა ჯანგიძე-ბოლქვინძე	
10	დავით ძაგნიძე	
11	გივი ჭიპაშვილი	
12	მანანა კაპანაძე	
13	იუზა ჩუბინიძე	
14	ზურაბ მატკავა	
15	ნანა მოსიძე	
16	შალვა შალვაშვილი	
17	კოტე შერმადინი	
18	ლიანა ჩარკვიანი	
19	ვალერი ჯიქია	
20	ოთარ მენაბდე	
21	ლეილა აფციაური	
22	დავით ანთოშვილი	
23	ოლეგ რიჟამაძე	
24	თამარ ბუაძე	
25	გია ლეჟავა	

26	თემურ დალაქიშვილი	
27	ნინო კიკილაშვილი	
28	ნუკრი კოხრეიძე	
29	გიორგი ქოჩიაშვილი	
30	მაია გოგოლაძე	
31	ირაკლი ტაბაღუა	
32	დავით ჯიქია	
33	მაია ჭიკაძე	
34	იური ბედინეიშვილი	
35	მერაბ ტყეშელაშვილი	
36	ლაურა მირაშვილი	
37	სოსო არეშიძე	
38	თამაზ გველუკაშვილი	
39	ლეილა ციცქიშვილი	
40	გივი გოლოშვილი	
41	გოგი კახიანი	
42	ნინო გოგინაშვილი	
43	მერაბ ასანიშვილი	
44	ვასილ ძირკველიშვილი	
45	ნათელა მუხულიშვილი	
46	გოჩა შავაძე	
47	ჯონი შანიძე	
48	სოფო ღიბრაძე	
49	ზურაბ ტაბაღუა	
50	ვანო ლეჟავა	